# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №01

ქ. ონი

1 იანვარი 2016 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, სსიპ ონის მუნიციპალიტეტი სოფ. შეუბანის საჯარო სკოლა შემდგომში “შემსყიდველად” წოდებული, დირექტორის ეთერი ჩიკვილაძის სახით რომელიც მოქმედებს სამსახურის დებულების საფუძველზე ერთის მხრივ და ინდ. მეწარმე შემდგომში “მიმწოდებელი” ცარინა გავაშელიშვილის სახით მეორის მხრივ დადეს ეს ხელშეკრულება და მიღწეული იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

## 1. ზოგადი პირობები

შემსყიდველმა აწარმოა ერთ პირთან მოლაპარაკება საკანცელარიო ნივთების და საოფისე საქონლის შესყიდვაზე და მიიღო მიმწოდებლისაგან წინადადება მის მიწოდებაზე.

## 2. ხელშეკრულების საგანი

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება საქონლის (საკანცელარიო ნივთები და საოფისე საქონლის სან. ჰიგ. საგნების და კავშირგაბმულობის მომსახურების) შესაძენად ერთ პირთან მოლაპარაკების წესით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლების შესაბამისობა საქართველოში არსებულ სტანდარტულ ნორმებთან; (მონოების

ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულებაა 2690.00 ლარი;

| | |
|---|---|
| 19200000 | 200 |
| 22100000 | 150 |
| 22200000 | 100 |
| 22800000 | 300 |
| 30100000 | 200 |
| 30200000 | 200 |
| 31500000 | 100 |
| 32200000 | 300 |
| 33700000 | 400 |
| 39200000 | 300 |
| 39700000 | 100 |
| 39800000 | 200 |
| 64100000 | 40 |
| 72500000 | 100 |

[redacted]

[redacted]

შესასყიდი ობიექტის მიწოდების განხორციელება შემსყიდველის მოთხოვნიდან დაუყოვნებლივ, განსაკუთრებულ შემთხვევაში კი არაუგვიანეს 10 დღისა.

### 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

"მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს "შემსყიდველის" მიერ დაკვეთილი საქონლის მიწოდება დაუყოვნებლივ სათანადო დოკუმენტების გაფორმების საფუძველზე;

"მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის შეცვლა;

"შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას მიმწოდებელს საქონელის საფასური გადაუხადოს მიწოდებული საქონლის მწოდებიდან არაუგვიანეს 4 კვირისა;

შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და/ან გამოსცადოს საქონელი, რათა დარწმუნდეს მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

### 4. მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტი (ან მისი ნაწილი) ჩაითვლება მიღებულად ინსპექტირების ჩატარების, სათანადო დოკუმენტების (სასაქონლო ზედნადები, ანგარიშ-ფაქტურა) გაფორმებისა და შემსყიდველზე საქონლის გადაცემის შემდეგ;

### 5. ანგარიშსწორება

ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, ლარებში უნაღდო ანგარიშსწორება;

### 6. სხვა პირობა

ხელშეკრულების პირობებს მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა დასაშვებია შემსყიდველისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნების მოცულობის ცვლილებებისას და ქვეყანაში დაფიქსირებული ინფლაციის შესაბამისად;

მხარეები ღებულობენ ქონებრივ პასუხისმგებლობას შემსყიდველი და არადამაკმაყოფილებლად შესრულებულ თავის ვალდებულებებზე არსებულ კანონმდებლობის შესაბამისად გარდა ფორს-მაჟორული გარემოებებით გათვალისწინებული შემთხვევების;

ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს და მეორე შემსყიდველს. ორივე ეგზემპლარს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.